

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

ხათუნა მარწყვიშვილი

ნათია სორდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ალიოშა ნოიბაური

კარლ ფრანცეზის სახელობის გრაციის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის საკვლევი ორი საზომი ინსტრუმენტის - დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტისა (The Big Five Inventory (BFI); John & Strivastava, 1999) და პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის (Ten item of Personality Inventory (TIPI); Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლების შესწავლა. დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის ქართული ვარიანტის კვლევაში მონაწილეობას იღებდა 866 ადამიანი, პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის ქართული ვერსიის შესაქმნელად განხორციელებულ კვლევაში კი - 377 ადამიანი. კვლევის შედეგების თანახმად, ორივე კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა იმეორებს სხვა კულტურებში არსებული ხუთფაქტორიანი მოდელის სტრუქტურას, სანდოობის მაჩვენებლები აკმაყოფილებს პიროვნული კითხვარებისთვის მინიმალურ რეკომენდებულ მნიშვნელობას, თუმცა ეს მაჩვენებლები შედარებით დაბალია პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის შემთხვევაში. ინსტრუმენტების ვალიდობაზე მეტყველებს ლოგიკური კავშირი თეორიულად ნავარაუდევ, რელევანტურ კონსტრუქტებთან: კერძოდ, პიროვნების ავერსიულ მახასიათებლებთან, ემოციურ ინტელექტსა და ექვსფაქტორიანი მოდელის ნიშნებთან. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიდი ხუთეულის საკვლევი ორივე კითხვარის ქართული ვერსია, ძირითადი ფაქტორული სტრუქტურის, სხვა კონსტრუქტებთან გამოვლენილი ლოგიკური კავშირისა და სანდოობის მაჩვენებლების გამო, შეიძლება გამოვიყენოთ შემდგომი მეცნიერული და კვლევითი საქმიანობისთვის.

საკვანძო სიტყვები: პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელი; დიდი ხუთეული საკვლევი ინსტრუმენტები; ფსიქომეტრული მახასიათებლები.

შესავალი

პიროვნება მრავალასპექტიანი კონსტრუქტია, რომლის შესწავლასაც მკვლევრები პიროვნების სხვადასხვა თეორიის ფარგლებში ცდილობენ. პიროვნების ამ მრავალფეროვნების შესასწავლად შექმნილი დიდი ხუთეულის მოდელი ხუთ კულტურულად უნივერსალურ პიროვნულ ნიშანს - ექსტრავერსიას, ნეიროტიზმს, კეთილსინდისიერებას, კეთილგანწყობას¹ და გამოცდილებისადმი ღიაობას აერთიანებს. თითოეული ეს ნიშანი კი, თავის მხრივ, ექვს ასპექტს მოიცავს (Goldberg, 1993; John & Srivastava, 1999). ხუთი პიროვნული ნიშნის შესასწავლად კითხვარების შექმნა 1980-იანი წლებიდან იწყება (Costa & McCrae, 1992) და დღეისათვის დიდი ხუთეულის კითხვარის რამდენიმე ვერსია და სხვადასხვა ენაზე ადაპტირებული ვარიანტი არსებობს (მაგ. Leung, Wong, Chan, & Lam, 2013; Ubbiali, Chiorri, Hampton, & Donati, 2013). კითხვარის პირველი გადასინჯული ვერსია (NEO PI-R) 240 დებულებისგან შედგება და, ორიგინალისგან განსხვავებით, ნევროტიზმის, ექსტრავერსიისა და გამოცდილებისადმი ღიაობის ქულებთან ერთად კეთილგანწყობისა და კეთილსინდისიერების ქულების დათვლის საშუალებას იძლევა (Costa & MacCrey, 1992). მოგვიანებით ხუთფაქტორიანი მოდელის შესაფასებლად ავტორებმა კითხვარის 60-დებულებიანი ვერსია შექმნეს (NEO-FFI; Costa & MacCrey, 1992) რომელსაც კითხვარის 44 (John & Srivastava, 1999), 30, 15, 10 და 5 დებულებიანი ვერსიების შექმნა მოჰყვა (Gosling, Rentfrow, & Swann, 2003; Soto & John, 2017). პიროვნების ამ ხუთი ნიშნის შესაფასებელი კითხვარების შემოკლებას პრაქტიკული დანიშნულება აქვს და მცირე დროში კვლევის მონაწილის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მოპოვებას ისახავს მიზნად, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო მცირეა კითხვარის დებულებათა რაოდენობა, მით უფრო მცირდება იმის შანსი, რომ თითოეული პიროვნული ნიშნის ექვსივე ასპექტის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მივიღებთ.

ხუთი პიროვნული ნიშნის უნივერსალურობა სხვადასხვა ქვეყანაში ამ ნიშნების არსებობით დასტურდება. ამასთან, 55 ქვეყანაში ჩატარებულ კვლევათა ანალიზი ადასტურებს, რომ ქალები და კაცები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან დიდი ხუთეულის პიროვნული ნიშნების მიხედვით - ქალებს კეთილგანწყობის, ნეიროტიზმის, ექსტრავერსიისა და კეთილსინდისიერების სკალაზე შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ. ეს განსხვავება ეკონომიკური კეთილდღეობის, განათლების ხელმისაწვდომობისა და ჯანსაღი და ხანგრძლივი ცხოვრების შესაძლებლობის პირობებში უფრო თვალსაჩინოა (Schmitt, Realo, Voracek, & Allik, 2008). კულტურის გავლენით, სქესთა ურთიერთსხვაობის ინტენსივობა იცვლება, თუმცა ფაქტია, რომ, დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშანთა მიხედვით, ქალებისა და კაცების ურთიერთგანსხვავება ვლინდება და მეორდება ქვეყანათა უმრავლესობაში.

¹ ავტორების შენიშვნა: ინგლისური ტერმინის, agreeableness-ის შესატყვისად ქართულ ენაში ხშირად გამოყენებული ტერმინის - თანხმობისადმი მზაობა - ნაცვლად, ვიყენებთ ტერმინს - კეთილგანწყობა.

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

დიდი ხუთეული და ექვსფაქტორიანი მოდელი

ლექსიკური ჰიპოთეზის თანახმად, პიროვნებათა ურთიერთსხვაობა სამეტყველო ენაში გამოყენებულ ზედსართავ სახელებში აისახება. მათი გაფილტვრისა და ფაქტორული ანალიზით დამუშავების შედეგად, ხუთი ბაზისური პიროვნული ნიშანი გამოიყოფა (Goldberg, 1990; Norman, 1963). მოგვიანებით სხვადასხვა ენაში არსებული ზედსართავი სახელების ანალიზმა და გადასინჯვამ აჩვენა, რომ არა ხუთი, არამედ ექვსი ბაზისური ფაქტორი არსებობს - გულწრფელობა-თავმდაბლობა, ემოციურობა (ნევროტიზმის საპირისპიროდ), კეთილგანწყობა (ბრაზის საპირისპიროდ), ექსტრავერსია, კეთილსინდისიერება და გამოცდილებისადმი ღიაობა - და ამ ფაქტორების უნივერსალურობა 10-ზე მეტ ენაზე ჩატარებულ კვლევაში დასტურდება (Lee & Ashton, 2008). დიდ ექვსეულში შემავალი თითოეული ნიშანი ოთხ ასპექტს მოიცავს და ამ ნიშნების შესაფასებლად შექმნილი ინსტრუმენტი როგორც თვითანგარიშის, ისე სხვების შეფასების საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას ეფუძნება. როგორც წესი, ამ ორ წყაროზე დაყრდნობით მიღებული შედეგები კორელირებს ერთმანეთთან (Ashton & Lee, 2009). ეშტონისა და ლის კვლევიდან (2009) ჩანს, რომ დიდი ექვსეულის ისეთი ნიშნები, როგორებიცაა ექსტრავერსია, კეთილსინდისიერება და გამოცდილებისადმი ღიაობა, დიდი ხუთეულის შესაბამის ნიშნებს უკავშირდება. დიდი ექვსეულის ფარგლებში გამოყოფილი ექსტრავერსია უარყოფითად უკავშირდება დიდი ხუთეულის ნევროტიზმს. ეს უკანასკნელი დადებითად კორელირებს დიდი ექვსეულის ემოციურობასთან, გულწრფელობა-თავმდაბლობა კი მხოლოდ დიდი ხუთეულის კეთილგანწყობასთან ავლენს დადებით კავშირს.

დიდი ხუთეული და ბნელი ტრიადა

პიროვნების კვლევა მხოლოდ უნივერსალური და შედარებით ნეიტრალური პიროვნული მახასიათებლების შესწავლით არ შემოიფარგლება. სოციალურად ავერსიული პიროვნული მახასიათებლების მიმართ მკვლევრების დაინტერესება 21-ე საუკუნის დასაწყისიდან იზრდება. პაულუსი და უილიამსი (2002) სოციალურად ავერსიულ პიროვნულ ნიშნებს - ნარცისიზმს, მაკიაველიზმსა და ფსიქოპათიას „ბნელი ტრიადის“ სახელით აერთიანებენ. ნარცისიზმით გამორჩეული ადამიანები საკუთარი უპირატესობის რწმენით, მანიპულირების ტენდენციითა და გრანდიოზულობით ხასიათდებიან. ნარცისიზმი დადებითად უკავშირდება ექსტრავერსიასა და გამოცდილებისადმი ღიაობას, უარყოფითად კი - კეთილგანწყობას (Paulhus & Williams, 2002). მაკიაველიზმი ხასიათდება კონვენციური მორალისა და ემოციურობის სიმწირით, რაც მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალების გამოყენებასა და გამართლებაში ეხმარება ამ ნიშნის მქონე ადამიანს (Christie & Geis, 1970). ეს ადამიანები კეთილგანწყობისა და კეთილსინდისიერების- დაბალი და ნევროტიზმის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან (O'Boyle, Forsyth, Banks, Story, & White, 2014; Paulhus & Williams, 2002). ფსიქოპათია ანტისოციალური ქცევით და კრიმინალური მისწრაფებებით ვლინდება (Neumann, Hare, & Pardini, 2015). ეს ადამიანები დაბალი კეთილსინდისიერებითა და კეთილგანწყობით

და მაღალი ექსტრავერსიითა და გამოცდილებისადმი ღიაობით გამოირჩევიან (O'Boyle et al., 2014; Paulhus & Williams, 2002).

დიდ ხუთეულისა და ბნელი ტრიადის ურთიერთკავშირის კვლევათა მეტა-ანალიზიდან (O'Boyle et al., 2014) ჩანს, რომ სოციალურად ავერსიული პიროვნული ნიშნების ვარიაციის 30-63% დიდი ხუთეულის ნიშნებით იხსნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრედიქტორი კეთილგანწყობაა. ხუთი ბაზისური ნიშნის ცალკეული ასპექტები ფსიქოპათიის ქულათა ვარიაციის - 88, ხოლო ნარცისიზმის ქულათა ვარიაციის 42 პროცენტს ხსნის. მსგავსი შედეგები დიდი ხუთეულის ნიშნების უნივერსალურ დისპოზიციებად განხილვის საშუალებას იძლევა.

დიდი ხუთეული და ემოციური ინტელექტი

ემოციური ინტელექტი, როგორც ნიშანი, პიროვნულ ნიშანთა იერარქიის საფუძველშია და საკუთარი და გარშემომყოფების ემოციების გაგებასა და მათზე გავლენის მოხდენის უნარით ვლინდება (Petrides & Furnham, 2003). ემოციური ინტელექტი 15 ასპექტს მოიცავს, რომლებიც 4 ფაქტორის გარშემო ერთიანდება - ემოციურობა, სოციალურობა, თვითკონტროლი და კარგად ყოფნა (Petrides, 2009). კარგად ყოფნის ფაქტორზე მაღალი ქულის მქონე ადამიანები თავდაჯერებულები არიან, ცხოვრებით კმაყოფილები, პოზიტიური ემოციების განცდისკენ მიდრეკილნი (Baudry, Grynborg, Dassonneville, Lelorain, & Christophe, 2018; Petrides, Pita, & Kokkinaki, 2007; Petrides, 2009). თვითკონტროლის ფაქტორზე მაღალი ქულის მქონე ადამიანებს საკუთარი ემოციების მართვის უნარი გამოარჩევთ, რაც სტრესულ სიტუაციებთან ეფექტურად გამკლავებაშიც უწყობთ ხელს (Baudry et al., 2018; Petrides et al., 2007). ემოციურობის ფაქტორი ადამიანს საკუთარი და სხვათა ემოციების გაგებაში ეხმარება, ემპათიით ვლინდება და ამ ნიშნის მფლობელს ეფექტური კომუნიკაციისა და ახლო ურთიერთობის დასამყარებლად ემოციების გამოყენებაში უწყობს ხელს (Baudry et al., 2018; Petrides et al., 2007). სოციალურობა საკუთარი ემოციების მართვასა და სოციალური კონტაქტების დასამყარებლად მათი ეფექტური გამოყენებით ვლინდება. ამ ნიშნით გამორჩეული ადამიანები ახერხებენ გულწრფელი და ავთენტური კომუნიკაცია ჰქონდეთ გარშემომყოფებთან და გავლენა მოახდინონ მათ ემოციებზე (Baudry et al., 2018; Petrides et al., 2007). ემოციური ინტელექტის კრიტიკოსები მას პიროვნების სხვადასხვა ასპექტის კომბინაციად განიხილავენ (მაგ., ემოციური სტაბილობისა და ინტელექტის კომბინაცია) (Eysenck, 1998), თუმცა მეტაანალიტიკური კვლევა ცხდყოფს, რომ ემოციური ინტელექტი უფრო მეტია, ვიდრე ბაზისური პიროვნული ნიშნების სპეციფიკური კომბინაცია (Andrei, Siegling, Aloe, Baldaro, & Petrides, 2015). ემოციური ინტელექტი და მისი ცალკეული ასპექტები ნეგატიურად უკავშირდებიან ნევროტიზმს, ხოლო დიდი ხუთეულის დანარჩენ ნიშნებთან კავშირი დადებითი და მნიშვნელოვანია (იხ. Greven, Chamorro-Premuzic, Arteché, & Furnham, 2008; Mikolajczak, Luminet, Leroy, & Roy, 2007; Petrides, Vernon, Schermer, Ligthart, Boomsma, & Veselka, 2010).

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

მიმდინარე კვლევა

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარები წარმატებით გამოიყენება პიროვნებისა და ინდივიდუალური განსხვავების ფსიქოლოგიის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებში, ხოლო ქართული ვერსიების ფსიქომეტრული მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია ძალიან მწირია. ამიტომ წინამდებარე კვლევისას მიზნად დავისახეთ პიროვნების ხუთფაქტორიანი მოდელის საკვლევი ორი სხვადასხვა ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების შესწავლა. ეს კითხვარებია: დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტი (The Big Five Inventory (BFI); John & Strivastava, 1999) და პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარი (Ten item of Personality Inventory (TIPI); Gosling, Rentfrow, & Swann, 2003).

ორივე ინსტრუმენტის მომზადების პროცესი იდენტურად წარიმართა და მოიცავდა შემდეგ საფეხურებს: (1) პირველ ეტაპზე მომზადდა ინსტრუმენტების ორი-ორი დამოუკიდებელი თარგმანი; (2) თარგმანის შეჯერების შემდეგ კი - კითხვარების პირველი სამუშაო ვერსიები; (3) გადამოწმდა ქართული ვარიანტის შინაარსობრივი შესაბამისობა ინგლისურ ვარიანტთან; (4) კითხვარის სამუშაო ვერსია, შინაარსობრივი ვალიდობის თვალსაზრისით, შეაფასეს ექსპერტებმა: ისინი თითოეულ დებულებას მიაკუთვნებდნენ იმ პიროვნულ ნიშანს, რომელსაც, მათი აზრით, ზომავდა დებულება (სამი ექსპერტი- დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის, ხოლო ხუთი ექსპერტი- პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის შემთხვევაში). დებულებები, რომლებიც ექსპერტების შეფასების არაერთგვაროვნებით გამოირჩეოდა, გადამუშავდა; (5) პილოტური კვლევის (40 მონაწილე- დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის, ხოლო 30 მონაწილე - პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის შემთხვევაში) შედეგების საფუძველზე განისაზღვრა სკალების სანდოობა. დებულებები, რომლებიც სკალების სანდოობას ამცირებდა, ხელმეორედ შეფასდა და შეიცვალა (შეიცვალა 2 დებულება დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტიდან, ხოლო სამი დებულება- პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარიდან).

მიმდინარე კვლევა მოიცავს ორ ურთიერთდამოუკიდებელ ნაწილს. თითოეული ნაწილი ცალკეული ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების კვლევას ეთმობა.

პირველი ნაწილი

კვლევის პირველი ნაწილის მიზანი დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის (The Big Five Inventory (BFI); John & Strivastava, 1999) ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმებაა: კერძოდ, ფაქტორული სტრუქტურის განსაზღვრა, შინაგანი შეთანხმებულობის დადგენა და ვალიდობის შემოწმება.

კვლევის მეთოდი

კვლევის მონაწილეები და პროცედურა

კვლევაში მონაწილეობდა 866 ადამიანი: 550 ქალი და 303 მამაკაცი (13-მა მონაწილემ სქესი არ მიუთითა). მონაწილეთა ასაკი ვარიირებდა 17-დან 69 წლამდე ($M_{ასაკი}=25.65$, $SD=10.47$). კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას სტუდენტები შეადგენდნენ (51.3%), ხოლო დანარჩენი მონაწილეებიდან 36.2% - უმაღლესი, 6% - საშუალო და 6.5% კოლეჯი/პროფესიული განათლების მქონე გახლდათ.

კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. მონაწილეების კვლევაში მონაწილეობისთვის კომპენსაციას ან ანაზღაურებას არ იღებდნენ. კითხვარების ადმინისტრირება ხორციელდებოდა ინდივიდუალურად ან- მცირე ჯგუფებში. კითხვარის შევსების სტანდარტული ინსტრუქცია მოცემული იყო კითხვარის დასაწყისში. საჭიროების შემთხვევაში ინსტრუქტორი ზეპირადაც ტარდებოდა. კვლევის მონაწილეებს სთავაზობდნენ კითხვარს: თითოეული დებულების გასწვრივმათ უნდა აღენიშნათ რიცხვი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა დებულებაზე მათი დათანხმება/არ დათანხმების ხარისხს.

კვლევის ინსტრუმენტები

ხუთფაქტორიანი მოდელი. დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტი (The Big Five Inventory (BFI); John & Strivastava, 1999) მოიცავს 44 დებულებას. დებულებები ფასდება ლაიკერტის ტიპის ხუთბალიანი სკალით, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“ და 5-“სრულიად ვეთანხმები“. კითხვარი ზომავს ხუთ პიროვნულ ნიშანს: გამოცდილებისადმი ლიაობას (10 დებულება), ექსტრავერსიას (8 დებულება), კეთილგანწყობას (9 დებულება), კეთილსინდისიერებასა (9 დებულება) და ნევროტიზმს (8 დებულება).

ბნელი ტრიადა. ბნელი ტრიადის საკვლევადა გამოვიყენეთ ბნელი ტრიადის შესაფასებელი მოკლე კითხვარი (Dark triad of Personality (D3-Short); (Paulhus, 2013). კითხვარი მოიცავს 27 დებულებას, რომლებიც იზომება ლაიკერტის ტიპის ხუთბალიანი სკალით, სადაც 1 აღნიშნავს „საერთოდ არ ვეთანხმები“ და 5 - „სრულიად ვეთანხმები“. კითხვარის 9 დებულება ზომავს მაკიაველიზმს („რადაც უნდა დაგიჯდეს, გავლენიანი ადამიანები შენ მხარეს უნდა გადაიბირო“); 9 დებულება - ნარცისიზმს („ადამიანები თვლიან, რომ ლიდერად ვარ დაბადებული“) და 9 - ფსიქოპათიას („მიზიდავს სახიფათო სიტუაციები“).

ემოციური ინტელექტი. ემოციური ინტელექტის საკვლევადა გამოვიყენეთ ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის, საკვლევი კითხვარის (Petrides, 2009) ქართული ვერსიის მოკლე ფორმა, რომელიც შექმნილია ქართული ვრცელი ვერსიის (Martskvishvili, Arutinovi, & Meštvirishvili, 2013) საფუძველზე. კითხვარის ორიგინალური ვერსიის დარად, ქართული ვერსიაც მოიცავს 30 დებულებას, რომელიც ფასდება

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

ლიკერტის ტიპის 7 ბალიანი სკალით (1- სრულიად არ ვეთანხმები და 7- სრულიად ვეთანხმები) და იძლევა საშუალებას, შეფასდეს ემოციური ინტელექტის 4 ძირითადი ფაქტორი (ემოციურობა, სოციალურობა, კარგად ყოფნა და თვითკონტროლი) და ემოციური ინტელექტის საერთო მაჩვენებელი.

პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელი. ექვსფაქტორიანი მოდელის შესაფასებლად გამოვიყენეთ ექვსფაქტორიანი მოდელის შესაფასებელი კითხვარის HEXACO-PI-R (Ashton, & Lee, 2009) ქართული მოკლე ვერსია. კითხვარი წარმოადგენს თვითანგარიშის ტიპის საკვლევ ინსტრუმენტს, მოიცავს 60 დებულებას და საშუალებას იძლევა, შეფასდეს პიროვნების 6 ძირითადი მახასიათებელი: გულწრფელობა - თავმდაბლობა; კეთილსინდისიერება; კეთილგანწყობა; ნევროტიზმი; ექსტრავერსია.

მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა ანალიზის პირველ ეტაპზე დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის ფაქტორული სტრუქტურის შესამოწმებლად გამოვიყენეთ ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის (Principal Component Analysis) მეთოდი. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებული პიროვნული მახასიათებლების იდენტიფიცირებისთვის დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის (Confirmatory Factor Analysis) გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, კვლევათა უმრავლესობაში დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზის გამოყენებისას მიღებული შედეგები არათანმიმდევრულია. სწორედ ამიტომ, მკვლევართა ნაწილი ფაქტორული ანალიზის ამ მეთოდის დიდი ხუთეულის მიმართ გამოყენების მიზანშეწონილობას სათუოდ მიიჩნევს (მაგ. იხ. Borkenau & Ostendorf, 1990; McCrae, Zonderman, Costa, Bond, & Paunonen, 1996; Vassend & Skrandal, 1997).

სანდობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა, რომელიც დებულებების შინაგანი შეთანხმებულობის შესაფასებელი საზომია. ინსტრუმენტის ვალიდობის შესამოწმებლად დავითვალეთ კორელაციები დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტით შეფასებულ ფაქტორებსა და თეორიულად ნავარაუდევ კონსტრუქტებს შორის.

შედეგები

კვლევისას გამოყენებული ყველა ინსტრუმენტის აღწერითი სტატისტიკისა და სანდობის მაჩვენებლები ისევე, როგორც შერჩევის მახასიათებლები, მოცემულია ცხრილში N1 (დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტი) და ცხრილში N2 (კვლევის პირველ ნაწილში გამოყენებული ყველა დანარჩენი ინსტრუმენტი).

14 **ცხრილი N1.** დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის აღწერითი სტატისტიკისა და შინაგანი შეთანხმებულობის მარკერებლები

	კატეგორია	კონსტანტა		კატეგორია		ქალები		t	Effect size	Min	Max	Skewness	Kurtoses	
		N	α	M	SD	M	SD							
ექსტრავერსია	303/550	9	.68	.69	.68	3.37	.65	3.32	.69	1.04	1.38	5.00	-2.04	-.121
კეთილგანწყობა	303/550	10	.60	.74	.71	3.59	.57	3.86	.67	-6.12	1.33	5.00	-2.42	-.379
კეთილსინდისიერება	303/550	8	.73	.78	.77	3.70	.63	3.88	.70	-3.81	1.56	5.00	-4.86	-.068
ნევროტიზმი	303/550	8	.77	.77	.79	2.62	.78	2.77	.83	-2.53	1.00	4.88	.212	-.511
გამოცდილებიდან ლიაობა	303/550	9	.75	.75	.75	3.87	.60	3.72	.66	3.26	1.40	5.00	-5.96	.549

შენიშვნა: *** $p < .001$; ** $p < .01$.

ცხრილი N2. აღწერითი სტატისტიკა, შინაგანი შეთანხმებულობის მარკერებლები და კორელაციები

	N	α	Age		ექსტრავერსია	კეთილგანწყობა	კეთილსინდისიერება	გამოცდილებიდან ლიაობა					
			M	SD									
ბნელი ტრიადა	130	.62	2.71	.54	21.60	4.52	35/65	.17	-23**	.15	-0.09	-0.01	
მაკიაველიზმი	130	.70	2.84	.61	21.60	4.52	35/65	.42**	-25**	.10	.03	.38**	
ნარცისიზმი	130	.78	2.17	.68	21.60	4.52	35/65	.16	-33**	.02	.16	.20*	
ფსიქოპათია	130	.83	2.57	.48	21.60	4.52	35/65	.32**	-35**	.11	.05	.26**	
ემოციური ინტელექტი	139	.73	5.07	.59	41.05	12.33	94/6	.51**	.29**	.45**	-.51**	.42**	
საერთო მარკერული													
ემქსფაქტორიანი მოდელი	95	.84	3.81	.64	18.74	1.31	82/18	-.25*	.33**	.19	-.10	-.05	
ბუნდურფელობა-თავმდაბლობა	95	.83	3.31	.66	18.74	1.31	82/18	.04	.27**	-.02	.39**	-.08	
ემოციური სტაბილურობა	95	.89	3.08	.78	18.74	1.31	82/18	.89**	.20	.47**	-.49**	.35**	
ექსტრავერსია	95	.76	2.86	.56	18.74	1.31	82/18	-.11	.51**	.27**	-.46**	-.01	
კეთილგანწყობა	95	.85	3.65	.62	18.74	1.31	82/18	.22*	.43**	.87**	-.38**	.15	
კეთილსინდისიერება	95	.77	3.82	.53	18.74	1.31	82/18	-.04	.02	.14	-.20	.64**	
გამოცდილებიდან ლიაობა													

შენიშვნა: *** $p < .001$; ** $p < .01$, * $p < .05$.

ფაქტორული ანალიზი

დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის დებულებები ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის (Principal Component Analysis) მეთოდის გამოყენებით დავამუშავეთ. ანალიზის ჩატარებამდე მონაცემები ფაქტორული ანალიზისთვის გამოსადეგობის თვალსაზრისით შევამოწმეთ. Kaiser-Meyer-Olkin-ის (Kaiser, 1970, 1974) მაჩვენებელი (.85) აღემატებოდა რეკომენდებულ .6-ს და Bartlett-ის ტესტის ($p < .001$) (Bartlett, 1954) შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო, რაც მონაცემთა ფაქტორული ანალიზისთვის გამოსადეგობას ადასტურებს.

ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზისას, ვარიანსის ბრუნვით, გამოიკვეთა 9 ძირითადი კომპონენტი 1-ზე მეტი კუთრი წონით, რომლებიც მონაცემთა ვარიანსის 14.3%, 9.5%, 7.3%, 5.5%, 4.9%, 3.5%, 2.9%, 2.7%, 2.4% ხსნიდა. Screeplot-ის შემოწმებამ ცხადყო მკვეთრი გარდატეხა მეხუთე კომპონენტის შემდეგ. კეტელის Catell's (1966) ტესტის (scree test) გამოყენების საფუძველზე, შემდგომი ანალიზისთვის დავტოვეთ 5 ძირითადი კომპონენტი, რომლებიც პარალელურმა ფაქტორულმა ანალიზმაც დაადასტურა. პარალელური ანალიზით გამოვლინდა მხოლოდ 5 კომპონენტი, რომელთა კუთრი წონაც აჭარბებდა შესაბამის მაჩვენებლებს იმავე ზომის, შემთხვევით დაგენერირებულ მონაცემთა მატრიცის საფუძველზე (44 ცვლადი * 867 მონაწილეზე)

ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზისას, ვარიანსის ბრუნვით, გამოიკვეთა ხუთი ძირითადი კომპონენტი. პირველი 5 ფაქტორი კუთრი წონით (eigenvalues): 14.25, 9.45, 7.29, 5.53, 4.99. ხუთი ფაქტორი ხსნის ცვლადების დისპერსიის საკმაოდ მნიშვნელოვან წილს: კერძოდ, მონაცემთა ვარიანსის 41.52%-ს. ყველა დებულება წარმოდგენილია ფაქტორულ სივრცეზე საშუალო მაჩვენებლით (communality) 0.41.

თითოეული ფაქტორის შესაბამისი დებულებების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში N3. რამდენიმე დებულებას ფაქტორული დატვირთვა აქვს ერთზე მეტ ფაქტორზე. მაგალითად, 26-ე და 16-ე დებულებები შემუშავებულია ექსტრავერსიის ფაქტორის შესაფასებლად (ამ ფაქტორზე მათი ფაქტორული დატვირთვა: .169 და .282), თუმცა ორივე დებულებას უფრო მაღალი დატვირთვა აქვს კეთილსინდისიერების ფაქტორზე (.593 და .439); ასევე, 35-ე დებულება, რომელიც შემუშავებულია გამოცდილებისადმი ღიაობის (.250) ფაქტორის შესაფასებლად, მაგრამ დებულებას უფრო მაღალი დატვირთვა აქვს ექსტრავერსიის განსაზღვრის თვალსაზრისით (.370). აღსანიშნავია, რომ თითოეული ეს დებულება იმ ფაქტორებზეც მუშაობს, რომელთა გასაზომადაც არის შექმნილი. აღსანიშნავია მეორე დებულებაც, რომელიც კეთილგანწყობის ფაქტორის გასაზომადაც შემუშავებული, მაგრამ ძალიან დაბალი დატვირთვა აქვს ამ ფაქტორზე. ორმაგი დატვირთვა აქვს მე-15 და მე-11 დებულებებს, მაგრამ უფრო მაღალი ფაქტორული წონა აქვთ იმ ფაქტორებზე (გამოცდილებისადმი ღიაობა და ექსტრავერსია), რის გასაზომადაც მონოდებულია ისინი.

ცხრილი N3. დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის ფაქტორული სტრუქტურა

	კეთილ- სინდი- სიერება	ნევროტიზმი	გამოცდი- ლებისადმი ლიაობა	კეთილ- განწყობა	ექსტრა- ვერსია
შეკითხვა_28	.716				
შეკითხვა_3	.711				
შეკითხვა_33	.708				
შეკითხვა_23	.627				
შეკითხვა_26	.593				.169
შეკითხვა_18	.558				
შეკითხვა_38	.478				
შეკითხვა_8	.467				
შეკითხვა_16	.439		.348		.282
შეკითხვა_43	.384				
შეკითხვა_39		.744			
შეკითხვა_19		.695			
შეკითხვა_24		.622			
შეკითხვა_14		.599			
შეკითხვა_9		.563			
შეკითხვა_34		.556			
შეკითხვა_4		.504			
შეკითხვა_29		.492			
შეკითხვა_20			.674		
შეკითხვა_30			.655		
შეკითხვა_25			.633		
შეკითხვა_5			.614		
შეკითხვა_40			.598		
შეკითხვა_44			.581		
შეკითხვა_41			.547		
შეკითხვა_15	.395		.489		
შეკითხვა_10			.295		
შეკითხვა_2				.129	
შეკითხვა_17				.690	

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

შეკითხვა_32		.638	
შეკითხვა_27		.625	
შეკითხვა_22		.606	
შეკითხვა_12		.594	
შეკითხვა_7		.488	
შეკითხვა_42		.458	
შეკითხვა_37		.457	
შეკითხვა_13		.408	
შეკითხვა_36			.566
შეკითხვა_6			.564
შეკითხვა_31			.563
შეკითხვა_21			.561
შეკითხვა_1			.518
შეკითხვა_11	.426		.517
შეკითხვა_35		.251	.370

ფაქტორების გამოყოფის მეთოდი: პრინციპული კომპონენტების ანალიზი

ბრუნვის მეთოდი: ვარიანქსი კაიზერის ნორმალიზაციით


ბრუნვების რაოდენობა - 7

|.30|-ზე ნაკლები ფაქტორული წონა ნაჩვენები არ არის

განაწილების მახასიათებლები

დიდი ხუთეულის ფაქტორების მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლები, საშუალო არითმეტიკული და სტანდარტული გადახრა, ასევე, დახრილობისა და პიკის (skewness, kurtosis) მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში N1. კოლმოგოროვ-სმირნოვის (KS) ტესტის შემონმებამ ცხადყო, რომ დიდი ხუთეულის კითხვარში გამოყოფილი ფაქტორების მაჩვენებელთა სიხშირე ნორმალური განაწილების სახეს არ იღებს (იხ. სურათი N1). თითოეული ფაქტორისთვის ეს მაჩვენებელი ასე გამოიყურებოდა: ექსტრავერსია $KS(866)=.06, p<.05$; კეთილგანწყობა $KS(866)=.06, p<.05$; კეთილსინდისიერება $KS(866)=.06, p<.05$; ნევროტიზმი $KS(866) =.06, p<.05$ და გამოცდილებისადმი ღიაობა $KS(866)=.05, p<.05$. სურათზე N1 მოცემულია ფაქტორების ქულათა განაწილება

სურათი N1. დიდი ხუთეულის ფაქტორთა ქულების განაწილება



სანდოობის შემოწმება

კითხვარის შინაგანი შეთანხმებულობის განსაზღვრის მიზნით, შევამოწმეთ ცალკეული ფაქტორების სანდოობა. სანდოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად ზომავს კითხვარის დებულებები და/ან კითხვარში გამოყოფილი სკალები ერთსა და იმავე კონსტრუქტს. სანდოობის მაჩვენებლები ვარიირებდა .68-დან .79-მდე. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღმოაჩნდა ექსტრავერსიას, ხოლო ყველაზე მაღალი - ნევროტიზმს.

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

სქესთა ურთიერთგანსხვავება დიდი ხუთეულის პიროვნული ნიშნების მიხედვით

სქესის მიხედვით განსხვავების შესამოწმებლად გამოვიყენეთ სტუდენტის *t* კრიტერიუმი დამოუკიდებელი შერჩევისთვის. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდამხოლოდ ექსტრავერსიის ფაქტორზე. დანარჩენი ფაქტორების მიხედვით კი აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო მაღალ ქულებს აგროვებენ ამ ფაქტორებზე: კეთილგანწყობა, კეთილსინდისიერება და ნევროტიზმი, ხოლო მამაკაცებს ქალებთან შედარებით უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ გამოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორზე (იხ. ცხრილი N1).

კონსტრუქტული ვალიდობა

კორელაციები დიდი ხუთეულის ფაქტორებსა და თეორიულად ნავარაუდევ სხვა ცვლადებთან მოცემულია ცხრილში N2. დიდი ხუთეულის ხუთივე ფაქტორიშესაძლოა მიემართებოდეს კვლევისას გამოყენებული საკვლევი ინსტრუმენტებით გაზომილ ფაქტორებს: კერძოდ, ნარცისიზმი დადებით კორელაციაშია ექსტრავერსიასა და გამოცდილებისადმი ღიაობასთან და უარყოფით კორელაციაშია კეთილგანწყობასთან. ასევე, კეთილგანწყობას უარყოფითად უკავშირდება მაკიაველიზმი და ფსიქოპათია და ფსიქოპათია დადებითადაა დაკავშირებული გამოცდილებისადმი ღიაობასთან. ემოციური ინტელექტი ნეგატიურად უკავშირდება ნევროტიზმს, ხოლო დიდი ხუთეულის დანარჩენ ნიშნებთან ემოციური ინტელექტის კავშირი დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ექვსფაქტორიანი მოდელით გაზომილ ამავე კონსტრუქტებთან მიმართებას: კორელაციები დადებითი, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და მერყეობს .39-დან .89-მდე. ყველაზე დაბალი კორელაციაშიმჩნევა ემოციური სტაბილურობისა და ნევროტიზმის მაჩვენებლებს შორის (.39), რომელიც სტატისტიკურად კვლავ მნიშვნელოვანია, ხოლო ყველაზე მაღალი - ექსტრავერსიის ფაქტორებს შორის.

მეორე ნაწილი

კვლევის მეორე ნაწილის მიზანი იყო პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის (Ten item of Personality Measure (TIPI; Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება: კერძოდ, ფაქტორული სტრუქტურის განსაზღვრა, შინაგანი შეთანხმებულობის დადგენა და ვალიდობის შემოწმება.

კვლევის მეთოდი

კვლევის მონაწილეები და პროცედურა

კვლევაში მონაწილეობდა 377 ადამიანი: 168 ქალი და 169 მამაკაცი. მონაწილეთა ასაკი ვარიირებდა 16-დან 58 წლამდე ($M_{ასაკი}=20.58$, $SD=5.30$). კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა (66.2%) სტუდენტი იყო; 30.0% - უმაღლესი, 2.7% - საშუალო, ხოლო 1.2% კოლეჯი/პროფესიული განათლების მქონე გახლდათ.

კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. მონაწილეები კვლევაში მონაწილეობისთვის კომპენსაციასა და ანაზღაურებას არ იღებდნენ. კითხვარების ადმინისტრირება ხორციელდებოდა ინდივიდუალურად ან- მცირე ჯგუფებში. კითხვარის შევსების სტანდარტული ინსტრუქტაჟი ჩატარდა კითხვარის დასაწყისში. კვლევის მონაწილეებს წარუდგინდნენ კითხვარს: თითოეული დებულების გასწვრივ მათ უნდა აღენიშნათ რიცხვი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა დებულებაზე მათი დათანხმება/არ დათანხმების ხარისხს.

კვლევის ინსტრუმენტები

პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარი (Ten item of Personality Measure (TIPI); Gosling, Rentfrow, & Swann, 2003) მოიცავს 10 დებულებას, რომლებიც ფასდება ლაიკერტის ტიპის ხუთბალიანი სკალით, სადაც 1 ნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“ და 5 - „სრულიად ვეთანხმები“. კითხვარი ზომავს ხუთ პიროვნულ ნიშანს: გამოცდილებისადმი ღიაობას, ექსტრავერსიას, კეთილგანწყობას, კეთილსინდისიერებასა და ნევროტიზმს (თითოეული ფაქტორის გასაზომად მოწოდებულია ორი დებულება).

ხუთფაქტორიანი მოდელი. დიდი ხუთეულის პიროვნული ნიშნები შევაფასეთ კვლევის პირველ ნაწილში გამოყენებული დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტით (The Big Five Inventory (BFI); John & Strivastava, 1999).

პიროვნების ექვსფაქტორიანი მოდელი. ექვსფაქტორიანი მოდელის შესაფასებლად გამოვიყენეთ ექვსფაქტორიანი მოდელის შესაფასებელი კითხვარის (HEXACO-PI-R; Ashton, & Lee, 2009) ვრცელი ვერსია. კითხვარი წარმოადგენს თვითანგარიშის ტიპის საკვლევ ინსტრუმენტს, მოიცავს 100 დებულებას და საშუალებას იძლევა, შეფასდეს პიროვნების 6 ძირითადი მახასიათებელი: გულწრფელობა - თავმდაბლობა; კეთილსინდისიერება; კეთილგანწყობა; ნევროტიზმი; ექსტრავერსია. თითოეული მახასიათებელი მოიცავს ოთხ-ოთხი დებულებით გაზომილ ოთხ-ოთხ ასპექტს და, გარდა ამისა, კითხვარში მოცემულია დამატებითი სკალა.

მონაცემთა ანალიზი

დიდი ხუთეულის ათდებულებიანი კითხვარის ფაქტორული სტრუქტურის განსასაზღვრად გამოვიყენეთ ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის (Principal Component Analysis) მეთოდი. სანდოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა, ინსტრუმენტის ვალიდობის შესამოწმებლად კი დავითვალეთ კორელაციები დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტით მიღებულ ქულებსა და დიდი ექვსეულის ფაქტორთა ქულებს შორის.

შედეგები

გამოყენებული ინსტრუმენტების აღწერითი სტატისტიკისა და სანდოობის მაჩვენებლები ისევე, როგორც შერჩევის მახასიათებლები, მოცემულია ცხრილში N4 (პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარისათვის) და ცხრილში N5 (კვლევის მეორე ნაწილში გამოყენებული ყველა დანარჩენი ინსტრუმენტი).

ცხრილი N4. პიროვნების შესაფასებელი ათდებულეზიანი კითხვარის აღწერითი სტატისტიკისა და შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები

კატეგორია	კითხვების α				კატეგორია				Effect size	Min	Max	Skewness	Kurtoses	
	N	კატეგორია	ქალები	საერთო	M	SD	M	SD						t
ექსტრავერსია	168/169	2	.72	.79	.76	8.74	3.24	8.50	3.57	0.63	2.00	14.00	-.230	-.965
კეთილგანწყობა	168/169	2	.47	.62	.56	9.26	3.16	8.76	3.11	1.14	2.00	14.00	-.292	-.709
კეთილსინდისიერება	168/169	2	.65	.66	.65	10.83	2.63	11.16	2.58	-1.16	2.00	14.00	-.997	.678
ნეგროტიზმი	168/169	2	.72	.66	.69	10.65	2.43	11.80	2.13	-4.65***	2.00	14.00	-.970	.959
გამოცდილებისადმი ლიაობა	168/169	2	.55	.56	.55	9.16	2.25	9.62	2.80	1.66	2.00	14.00	-.087	-.427

შენიშვნა: *** $p < .001$; N - დებულებების რაოდენობა.

ცხრილი N5. აღწერითი სტატისტიკა, შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები და კორელაციები

დიდი ხუთეული	N	α		Age		ექსტრავერსია	ნეგროტიზმი	კეთილსინდისიერება	კეთილგანწყობა	გამოცდილებისადმი ლიაობა	
		α	α	M	SD						
ექსტრავერსია	95	.86	2.92	.87	18.74	1.31	.85**	.17	.40*	.09	.35**
კეთილგანწყობა	95	.74	3.75	.60	18.74	1.31	.19	.20	.27**	.50**	-.21*
კეთილსინდისიერება	95	.87	3.78	.71	18.74	1.31	.36**	.32**	.75**	.50**	-.04
ნეგროტიზმი	95	.87	2.85	.91	18.74	1.31	-.39**	-.85**	-.40**	-.20*	-.02
გამოცდილებისადმი ლიაობა	95	.82	3.90	.62	18.74	1.31	.26*	-.01	.08	.08	.51**
ექსტრავერსია-მოდული	95	.84	3.81	.64	18.74	1.31	-.18	-.10	.15	.27**	-.18
გულწრფელობა-თავმდაბლობა	95	.83	3.31	.66	18.74	1.31	.11	.39**	-.04	.18	-.18
ემოციური სტაბილურობა	95	.89	3.08	.78	18.74	1.31	.83**	-.28**	.34**	.17	.29**
ექსტრავერსია	95	.76	2.86	.56	18.74	1.31	-.13	-.48**	.18	.26*	-.16
კეთილგანწყობა	95	.85	3.65	.62	18.74	1.31	.22*	-.35**	.71**	.47**	-.13
კეთილსინდისიერება	95	.77	3.82	.53	18.74	1.31	-.07	-.22*	.03	.14	.32**
გამოცდილებისადმი ლიაობა	95										

შენიშვნა: ** $p < .01$, * $p < .05$.

ფაქტორული ანალიზი

პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის დებულებები ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის (Principal Component Analysis) მეთოდის გამოყენებით დავამუშავეთ. ანალიზის ჩატარებამდე მონაცემები ფაქტორული ანალიზისთვის გამოსადეგობის თვალსაზრისით შევამოწმეთ. Kaiser-Meyer-Olkin-ის (Kaiser, 1970, 1974) მაჩვენებელი (.59) უახლოვდება რეკომენდებულ .6 მაჩვენებელს და Bartlett-ის ტესტის ($p < .001$) (Bartlett, 1954) შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო, რაც მონაცემთა ფაქტორული ანალიზისთვის გამოსადეგობას ადასტურებს.

ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზისას, ვარიანსის ბრუნვით, გამოიკვეთა 5 ძირითადი კომპონენტი 1-ზე მეტი კუთრი წონით, რომლებიც მონაცემთა ვარიანსის 24.83%, 19.26%, 12.38% და 11.29%-ს ხსნიდა. Screeplot-ის შემოწმებამ ცხადყო მკვეთრი გარდატეხა მეხუთე კომპონენტის შემდეგ. კეტელის Catell's (1966) ტესტის (scree test) გამოყენების შემდეგ შემდგომი ანალიზისთვის დავტოვეთ 5 ძირითადი კომპონენტი, რომლებიც პარალელურმა ფაქტორულმა ანალიზმაც დაადასტურა. პარალელური ანალიზით გამოვლინდა მხოლოდ 5 კომპონენტი, რომელთა კუთრი წონაც აჭარბებდა შესაბამის მაჩვენებლებს იმავე ზომის შემთხვევით დაგენერირებულ მონაცემთა მატრიცის საფუძველზე (10 ცვლადი * 337 მონაწილეზე)

ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზისას, ვარიანსის ბრუნვით, გამოიკვეთა ხუთი ძირითადი კომპონენტი. პირველი 5 ფაქტორი კუთრი წონით (eigenvalues): 24.38, 19.26, 12.38, 11.29, 9.83. ხუთი ფაქტორი ხსნის ცვლადების დისპერსიის საკმაოდ მნიშვნელოვან ნილს: კერძოდ, მონაცემთა ვარიანსის 77.13%-ს. ყველა დებულება წარმოდგენილია ფაქტორულ სივრცეზე საშუალო მაჩვენებლით (communality) 0.77.

თითოეული ფაქტორის შესაბამისი დებულებების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში N6. ფაქტორული ანალიზის შედეგად საკმაოდ ნათელი სტრუქტურა მივიღეთ. ყველა დებულება მუშაობს იმ ფაქტორზე, რომლის გასაზომადაცაა შემუშავებული. მხოლოდ მეხუთე შეკითხვას, რომელიც მოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორს მიეკუთვნება, აქვს მეორადი (თუმცა მცირე) დატვირთვა ექსტრავერსიის სკალაზეც.

ცხრილი N6. პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა

	ექსტრა- ვერსია	ნევრო- ტიზმი	კეთილ- სინდი- სიერება	კეთილ- განწყობა	გამოცდილე- ბისადმი ღიაობა
შეკითხვა_6	.906				
შეკითხვა_1	.836				
შეკითხვა_4		.864			
შეკითხვა_9		.850			
შეკითხვა_3			.860		

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

შეკითხვა_8	.845		
შეკითხვა_7		.832	
შეკითხვა_2		.805	
შეკითხვა_10			.861
შეკითხვა_5	.372		.709

ფაქტორების გამოყოფის მეთოდი: პრინციპული კომპონენტების ანალიზი

ბრუნვის მეთოდი: ვარიანსი კაიზერის ნორმალიზაციით

ბრუნვების რაოდენობა - 5

|.30|-ზე ნაკლები ფაქტორული წონები ნაჩვენები არ არის

განაწილების მახასიათებლები

პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი ინსტრუმენტის ფაქტორების მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლები, საშუალო არითმეტიკული და სტანდარტული გადახრა, ასევე, დახრილობისა და პიკის (skewness, kurtosis) მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში N4. კოლმოგოროვ-სმირნოვის (KS) ტესტის შემოწმებამ ცხადყო, რომ დიდი ხუთეულის კითხვარში გამოყოფილი ფაქტორების მაჩვენებელთა სიხშირე ნორმალური განაწილების სახეს არ იღებს. თითოეული ფაქტორისთვის ეს მაჩვენებელი ასე გამოიყურებოდა: ექსტრავერსია $KS(377)=.10, p<.01$; კეთილგანწყობა $KS(377)=.09, p<.01$; კეთილსინდისიერება $KS(377)=.15, p<.01$; ნევროტიზმი $KS(377)=.15, p<.01$ და გამოცდილებისადმი ღიაობა $KS(377)=.10, p<.05$.

სანდოობის შემოწმება

კითხვარის შინაგანი შეთანხმებულობის განსაზღვრის მიზნით, შევამოწმეთ ცალკეული ფაქტორების სანდოობა. სანდოობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ კრონბახის ალფა. სანდოობის მაჩვენებლები ვარიირებდა .47-დან .72-მდე. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღმოაჩნდა კეთილგანწყობას, ხოლო ყველაზე მაღალი - ნევროტიზმსა და ექსტრავერსიას.

სქესთა ურთიერთგანსხვავება დიდი ხუთეულის ფაქტორების მიხედვით

სქესის მიხედვით განსხვავებების შესამოწმებლად გამოვიყენეთ სტუდენტის t კრიტერიუმი დამოუკიდებელი შერჩევებისთვის. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა მხოლოდ კეთილგანწყობის ფაქტორზე, რომელზეც ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. დანარჩენი ფაქტორების მიხედვით, სქესთა ურთიერთგანსხვავება სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა (იხ. ცხრილი N4).

ვალიდობა

კორელაციები პიროვნების ათდებულებიანი კითხვარით გაზომილ ფაქტორებსა და ექვსფაქტორიანი მოდელისა და დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტით გაზომილ ფაქტორებს შორის მოცემულია ცხრილში N5. სხვადასხვა ინსტრუმენტით გაზომილი მსგავსი კონსტრუქტები სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით კორელაციაშია ერთმანეთთან. კორელაციები უფრო მაღალია დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტით გაზომილ ფაქტორებთან, ვიდრე ექვსფაქტორიანი მოდელით გაზომილ ფაქტორებთან.

შედეგების განხილვა

დიდი ხუთეულის საკვლევი ორივე კითხვარის (დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტი და პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარი) ქართულ ვერსიაში მეორდება ინგლისურენოვან ანალოგში არსებული ხუთი ძირითადი ფაქტორი. დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის ფაქტორული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ დებულებების უმრავლესობა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) იმ ფაქტორზე იტვირთება, რომელთა გასაზომიდაც არის შემუშავებული. რაც შეეხება პიროვნების შესაფასებელ ათდებულებიან კითხვარს: აქაც სრულიად გამოკვეთილი ხუთფაქტორიანი სტრუქტურა მივიღეთ. მხოლოდ ერთ დებულებას (მეხუთე დებულება) ჰქონდა ორმაგი დატვირთვა ორ სხვადასხვა ფაქტორზე, მაგრამ ეს დატვირთვა ძალიან მცირეა იმ ფაქტორზე არსებულ დატვირთვისთან შედარებით, რომლის გასაზომიდაც არის შემუშავებული. მსგავსი ტენდენცია შესაძლოა ავსხნათ იმ ფაქტით, რომელიც სხვა კონსტრუქტებთან კორელაციური კავშირების შემონიშნისას მოცემულ კვლევაშიც გამოვლინდა და დიდი ხუთეულის პიროვნულ ნიშანთა შორის ორთოგონალური კავშირის არარსებობას ადასტურებს (DeYoung, Peterson, & Higgins, 2002).

დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის ფარგლებში გამოყოფილი და პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარით მიღებული ფაქტორების ქულათა განაწილება არ არის ნორმალური, რაც, ერთი მხრივ, შეიძლება კვლევის შერჩევის ასაკის ვარიაციულობით (კვლევის მონაწილეთა ასაკი 17-დან 55-წლამდე ვარიირებდა, მაგრამ ასაკობრივი ჯგუფები თანაბრად არ იყო განაწილებული) და, მეორე მხრივ, ათდებულებიანი კითხვარის შემთხვევაში მონაწილეთა არც ისე დიდი რაოდენობით აიხსნას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ, დებულებათა სიმცირის გამო, კვლევის მეორე ნაწილის შერჩევის მოცულობა სრულიად საკმარისია ფაქტორული ანალიზის ჩასატარებლად.

დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტის ისევე, როგორც პიროვნების შესაფასებელი ათდებულებიანი კითხვარის ქართული ვერსიების შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები, ძირითადად, უახლოვდება ან აკმაყოფილებს პიროვნული კითხვარებისთვის რეკომენდებულ (.70) მნიშვნელობას (Nunnally, 1978). თუმცა ათდებულებიანი კითხვარის შემთხვევაში ეს მაჩვენებლები აშკარად უფრო დაბალია, რაც ამ კითხვარში შემავალ დებულებათა სიმცირით (2 დებულება თითოეულ ფაქტორზე) შეიძლება აიხსნას. ისიც აღსანიშნავია, რომ 10-ზე ნაკლები

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

დებულების შემთხვევაში სანდოობის მაჩვენებელი შესაძლებელია 0.5-ზე ნაკლები იყოს. მოკლე კითხვარებისთვის დამახასიათებელი დადებითი მხარეების მიუხედავად (ადმინისტრირების სიმარტივე, ხანმოკლე დროში ჩატარების შესაძლებლობა და ა.შ.), გასათვალისწინებელია სანდოობასთან დაკავშირებული ხარვეზები.

სქესთა ურთიერთგანსხვავებასთან დაკავშირებულ კლასიკურ ნაშრომში (Maccoby & Jacklin, 1975) ხაზგასმულია, რომ კაცები ქალებთან შედარებით ასერტულები, აგრესიულები და ემოციურად სტაბილურები არიან. ჩვენ მიერ მიღებული შედეგი, რომლის თანახმადაც, ქალები შედარებით მაღალ ქულებს აგროვებენ კეთილსინდისიერების, ნევროტიზმისა და კეთილგანწყობის სკალებზე, შეესაბამება იმ ინტერკულტურული კვლევის (Schmitt et al., 2008) შედეგებს, რომელშიც 55 ქვეყანა მონაწილეობდა, თუმცა, ამ კვლევის თანახმად, ქალების ექსტრავერსიის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა, ჩვენს კვლევაშიკი განსხვავება, ექსტრავერსიის მიხედვით, სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა. ასევე, ჩვენი კვლევის შედეგები ეთანადება კვლევის მონაცემებს (Chapman, Duberstein, Sorensen & Lyness, 2007), რომელთა თანახმადაც, ქალებს უფრო ახასიათებთ ნევროტიზმისა და კეთილგანწყობის პიროვნული ნიშნები, ვიდრე - კაცებს. რაც შეეხება გამოცდილებისადმი ღიაობის მაჩვენებლებს: კულტურიდან კულტურამდე ეს შედეგები არათანმიმდევრულია. ამ წინააღმდეგობრივი შედეგების ახსნა შესაძლებელია იმით, რომ ქალები მაღალ მაჩვენებლებს ავლენენ ემოციებისადმი, ხოლო მამაკაცები - იდეებისადმი ღიაობის თვალსაზრისით (Costa, Terracciano, & McCrae, 2001; McCrae & Terracciano, 2005). გამოცდილებისადმი ღიაობის ფაქტორი კი ამ ასპექტების ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნის საშუალებას არ იძლევა.

მოსალოდნელია, ორივე ინსტრუმენტით გაზომილი დიდი ხუთეულის ფაქტორები კვლევისას გამოყენებული საკვლევი ინსტრუმენტებით გაზომილ ცვლადებს მიემართებოდეს. ჩვენი კვლევის შედეგები შეესაბამება არსებულ მონაცემებს - ნარცისიზმი დადებით კორელაციაშია ექსტრავერსიასა და გამოცდილებისადმი ღიაობასთან და უარყოფით კორელაციაშია კეთილგანწყობასთან (მაგ. O'Boyle et al., 2014; Paulhus & Williams, 2002). ასევე, მაკიაველიზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ინდივიდები კეთილგანწყობის დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევიან (მაგ., Kessler, Bandelli, Spector, Borman, Nelson, & Penney, 2010; Lee & Ashton, 2005; O'Boyle et al., 2014; Paulhus & Williams, 2002). რაც შეეხება ფსიქოპათიასთან დიდი ხუთეულის მიმართებას: ჩვენი კვლევის შედეგები ეთანადება იმ კვლევის შედეგებს, რომლის თანახმადაც, ფსიქოპათია უარყოფითად უკავშირდება კეთილგანწყობას, ხოლო დადებითად - გამოცდილებისადმი ღიაობას (მაგ. O'Boyle et al., 2014; Paulhus & Williams, 2002).

ჩვენი კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ ემოციური ინტელექტი და მისი ასპექტები ნეგატიურად უკავშირდება ნევროტიზმს, ხოლო დიდი ხუთეულის დანარჩენ ნიშნებთან ემოციური ინტელექტის კავშირი დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (მაგ. Greven et al., 2008; Mikolajczak et al., 2007; Petrides et al., 2010).

რაც შეეხება ორივე ინსტრუმენტით გაზომილ დიდი ხუთეულის ფაქტორებსა და ექვსფაქტორიან მოდელში გამოყოფილ ნიშანთა ურთიერთმიმართებას: კორელაციები დადებითი, ძლიერი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც ეთანადება უკვე არსებული კვლევის შედეგებს - დიდი ექვსეულის ისეთი ნიშნები, როგორებიცაა

ექსტრავერსია, კეთილსინდისიერება და გამოცდილებისადმი ღიაობა, დიდი ხუთეულის შესაბამის ნიშნებს უკავშირდება. დიდი ექვსეულის ფარგლებში გამოყოფილი ექსტრავერსია უარყოფითად უკავშირდება დიდი ხუთეულის ნევროტიზმს. ეს უკანასკნელი დადებითად კორელირებს დიდი ექვსეულის ემოციურობასთან. გულწრფელობა-თავმდაბლობა კი დიდი ხუთეულის კეთილგანწყობასთან ავლენს დადებით კავშირს (Ashton & Lee, 2009). რიგ შემთხვევებში არსებული კავშირის არც თუ ისე ძლიერი მაჩვენებელი (მაგ., ექვსფაქტორიანი მოდელის ემოციურ სტაბილობასა და ხუთფაქტორიანი მოდელის ნევროტიზმის მაჩვენებლებს შორის) შეიძლება ამ ორი მოდელით გაზომილი ფაქტორების შემადგენელი ასპექტების განსხვავებულობით აიხსნას.

დასკვნა

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ დიდი ხუთეულის საკვლევი ინსტრუმენტისა და პიროვნების შესაფასებელ ათდებულებიან კითხვართა ქართული ვერსიები იმეორებს იმ მახასიათებლებსა და ტენდენციებს, რომლებიც მათი არა ქართულენოვანი ანალოგებისთვისაა დამახასიათებელი. შედეგები, რომლებიც სქესთა ურთიერთგანსხვავებებს უკავშირდება, იმ შედეგების ანალოგიურია, რომლებიც დიდი ხუთეულის კითხვარების მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადმინისტრირებისას გვხვდება და, ამასთან, თეორიული საფუძვლითაც დასტურდება. სანდოობის მაჩვენებლები შეესაბამება პიროვნული კითხვარებისთვის რეკომენდებულ მინიმალურ მნიშვნელობებს, თუმცა პიროვნების ათდებულებიანი კითხვარის შემთხვევაში, დებულებათა უკიდურესი სიმცირის გამო, უნდა გავითვალისწინოთ სანდოობასთან დაკავშირებული ხარვეზები. ორივე ინსტრუმენტი მიუთითებს თეორიულად ნავარაუდევი და სხვა ინსტრუმენტებით გაზომილი მსგავსი კონსტრუქტების ლოგიკურ კავშირზე, რაც ორივე ინსტრუმენტის ვალიდობაზე მეტყველებს. მოცემული კვლევის ფარგლებში არ განხორციელებულა არც ერთი კითხვარის ნორმირება, რაც მის გამოყენებას ინდივიდუალური შეფასებისა და/ან კონსულტირებისთვის შეუძლებელს ხდის, თუმცა მეცნიერული და კვლევითი საქმიანობისთვის კითხვარების მიმდინარე ვარიანტების გამოყენება შესაძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Andrei, F., Siegling, A. B., Aloe, A. M., Baldaro, B., & Petrides, K. V. (2015). The Incremental Validity of the Trait Emotional Intelligence Questionnaire (TEIQue): A Systematic Review and Meta-Analysis. *Journal of Personality Assessment*, 98(3), 261–276. doi:10.1080/00223891.2015.1084630
- Ashton, M., & Lee, K. (2009). The HEXACO-60: A Short Measure of the Major Dimensions of Personality. *Journal of Personality Assessment*, 91(4), 340–345. doi:10.1080/00223890902935878
- Bartlett, M.S. (1954) A Note on the Multiplying Factors for Various Chi Square Approximations. *Journal of the Royal Statistical Society*, 16, 296-298.

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

- Baudry, A.S., Grynberg, D., Dassonneville, C., Lelorain, S., & Christophe, V. (2018). Sub-dimensions of Trait Emotional Intelligence and Health: A Critical and Systematic Review of the Literature. *Scandinavian Journal of Psychology, 59*(2), 206–222. doi:10.1111/sjop.12424
- Borkenau, P., & Ostendorf, F. (1990). Comparing Exploratory and Confirmatory Factor Analysis: A Study on the 5-factor Model of Personality. *Personality and Individual Differences, 11*, 515–524. [https://doi.org/10.1016/0191-8869\(90\)90065-Y](https://doi.org/10.1016/0191-8869(90)90065-Y)
- Cattell, R. B. (1966). The Scree Test for the Number of Factors. *Multivariate Behavioral Research, 1*(2), 245–276. doi:10.1207/s15327906mbr0102_10
- Chapman B. P., Duberstein P. R., Sorensen S., Lyness J. M., (2007). Gender Differences in Five Factor Model Personality Traits in an Elderly Cohort. *Personality and Individual Differences, 43*(6) 1594-1603.
- Christie, R., & Geis, F. L. (1970). *Studies in Machiavellianism*. New York: Academic Press
- Costa, P. T., Terracciano, A., & McCrae, R. R. (2001). Gender Differences in Personality Traits across Cultures: Robust and Surprising Findings. *Journal of Personality and Social Psychology, 81*, 322–331.
- Costa, P.T. Jr., & McCrae, R. R. (1992). *The Revised NEO Personality Inventory (NEO PI-R) and NEO Five-factor Inventory (NEO-FFI) Professional Manual*. Psychological Assessment Resources.
- DeYoung, C. G., Peterson, J. B., & Higgins, D. M. (2002). Higher-order Factors of the Big Five Predict Conformity: Are there neuroses of health? *Personality and Individual Differences, 33*(4), 533-552. [https://doi.org/10.1016/S0191-8869\(01\)00171-4](https://doi.org/10.1016/S0191-8869(01)00171-4)
- Eysenck, H. J. (1998). *Intelligence: A New Look*. New Brunswick, NJ: Transaction Publishers.
- Goldberg, L. R. (1990). An Alternative “Description of Personality”: The Big-Five Factor Structure. *Journal of Personality and Social Psychology, 59*, 1216-1229. <https://doi.org/10.1037//0022-3514.59.6.1216>
- Goldberg, L. R. (1992). The Development of Markers for the Big-Five Factor Structure. *Psychological Assessment, 4*(1), 26–42. doi:10.1037/1040-3590.4.1.26
- Gosling, S. D., Rentfrow, P. J., & Swann, W. B. (2003). A Very Brief Measure of the Big-Five Personality Domains. *Journal of Research in Personality, 37*(6), 504–528. doi:10.1016/s0092-6566(03)00046-1
- Greven, C., Chamorro-Premuzic, T., Arteche, A., & Furnham, A. (2008). A Hierarchical Integration of Dispositional Determinants of General Health in Students: The Big Five, Trait Emotional Intelligence and Humour Styles. *Personality and Individual Differences, 44*, 1562–1573. <http://dx.doi.org/10.1016/j.paid.2008.01.012>
- John, O. P., & Srivastava, S. (1999). The Big-Five trait taxonomy: History, measurement, and theoretical perspectives. In L. A. Pervin & O. P. John (Eds.), *Handbook of personality: Theory and research* (Vol. 2, pp. 102–138). New York: Guilford Press.
- Kaiser, H. (1970). A Second Generation Little Jiffy. *Psychometrika, 35*, 401–15.
- Kaiser, H. (1974). An Index of Factorial Simplicity. *Psychometrika, 39*, 31–6.
- Kessler, S. R., Bandelli, A. C., Spector, P. E., Borman, W. C., Nelson, C. E., & Penney, L. M. (2010). Re-examining Machiavelli: A Three-dimensional Model of Machiavellianism in the Workplace. *Journal of Applied Social Psychology, 40*, 1868–1896.

- Lee, K., & Ashton, M. C. (2005). Psychopathy, Machiavellianism, and Narcissism in the Five-factor Model and the HEXACO Model of Personality Structure. *Personality and Individual Differences, 38*, 1571–1582.
- Lee, K., & Ashton, M. C. (2008). The HEXACO Personality Factors in the Indigenous Personality Lexicons of English and 11 Other Languages. *Journal of Personality, 76*(5), 1001–1054. doi:10.1111/j.1467-6494.2008.00512.x
- Leung, D. Y. P., Wong, E. M. L., Chan, S. S. C. & Lam, T. H. (2013). Psychometric Properties of the Big Five Inventory in a Chinese Sample of Smokers Receiving Cessation Treatment: A Validation Study. *Journal of Nursing Education and Practice, 3*(6), 1-10. <https://doi.org/10.5430/jnep.v3n6p1>
- Maccoby E. E., & Jacklin C. N. (1975). *The Psychology of Sex Differences*. Stanford: Stanford University Press.
- Martskvishvili, K., Arutinov, L., & Meštvirishvili, M. (2013). A Psychometric Investigation of the Georgian Version of the Trait Emotional Intelligence Questionnaire. *European Journal of Psychological Assessment, 29*(2), 84–88. doi:10.1027/1015-5759/a000135.
- McCrae, R. R., & Terracciano, A. (2005). Universal Features of Personality Traits from the Observer's Perspective: Data From 50 Cultures. *Journal of Personality and Social Psychology, 88*(3), 547–561. doi:10.1037/0022-3514.88.3.547
- McCrae, R. R., Zonderman, A. B., Costa, P. T., Jr., Bond, M. H., & Paunonen, S. (1996). Evaluating the Replicability of Factors in the Revised NEO Personality Inventory: Confirmatory Factor Analysis versus Procrustes Rotation. *Journal of Personality and Social Psychology, 70*, 552–566.
- Mikolajczak, M., Luminet, O., Leroy, C., & Roy, E. (2007). Psychometric Properties of the Trait Emotional Intelligence Questionnaire: Factor Structure, Reliability, Construct, and Incremental Validity in a French-Speaking Population. *Journal of Personality Assessment, 88*, 338–353. DOI: 10.1080/00223890701333431
- Nunnally, J.O. (1978). *Psychometric Theory*. New York: McGraw-Hill
- Neumann, C. S., Hare, R. D., & Pardini, D. A. (2014). Antisociality and the Construct of Psychopathy: Data from Across the Globe. *Journal of Personality, 83*(6), 678–692. doi:10.1111/jopy.12127
- Norman, W. T. (1963). Toward an Adequate Taxonomy of Personality Attributes: Replicated Factor Structure in Peer Nomination Personality Ratings. *Journal of Abnormal and Social Psychology, 66*, 574–583.
- O'Boyle, E. H., Forsyth, D., Banks, G. C., Story, P. A., & White, C. D. (2014). A Meta-analytic Test of Redundancy and Relative Importance of the Dark Triad and Five-Factor Model of Personality. *Journal of Personality, 83*, 644–664. doi:10.1111/jopy.12126.
- Paulhus, D. L. (2013). Dark Triad of Personality (D3-Short). Measurement Instrument Database for the Social Science. Retrieved June 22, 209 from www.midss.ie. last access on 15.10.2019
- Paulhus, D. L., & Williams, K. M. (2002). The Dark Triad of Personality: Narcissism, Machiavellianism, and Psychopathy. *Journal of Research in Personality, 36*(6), 556–563. doi:10.1016/s0092-6566(02)00505-6

დიდი ხუთეულის საკვლევი კითხვარების ქართულ ვერსიათა ფსიქომეტრული მახასიათებლები

- Petrides, K. V., & Furnham, A. (2003). Trait Emotional Intelligence: Behavioural Validation in Two Studies of Emotion Recognition and Reactivity to Mood Induction. *European Journal of Personality, 17*, 39–57. doi: 10.1002/per.466
- Petrides, K. V., Pita, R., & Kokkinaki, F. (2007) The Location of Trait Emotional Intelligence in Personality Factor Space. *British Journal of Psychology, 98*, 273-289. doi:10.1348/000712606X120618
- Petrides, K. V., Vernon, P. A., Schermer, J. A., Ligthart, L., Boomsma, D. I., & Veselka, L. (2010). Relationships between Trait Emotional Intelligence and the Big Five in the Netherlands. *Personality and Individual Differences, 48*(8), 906–910. doi:10.1016/j.paid.2010.02.019
- Petrides, K.V. (2009). *Technical Manual for the Trait Emotional Intelligence Questionnaires (TEIQue)*. London: London Psychometric Laboratory.
- Schmitt D. P., Realo A., Voracek M., & Allik J. (2008) Why Can't a Man Be More Like a Woman? Sex Differences in Big Five Personality Traits Across 55 Cultures. *Journal of Personality and Social Psychology, 94*, No.1, 168-182
- Soto, C. J., & John, O. P. (2017). Short and Extra-short Forms of the Big Five Inventory–2: The BFI-2-S and BFI-2-XS. *Journal of Research in Personality, 68*, 69–81. doi:10.1016/j.jrp.2017.02.004
- Ubbiali, A., Chiorri, C., Hampton, P. & Donati, D. (2013). Psychometric Properties of the Italian Adaptation of the Big Five Inventory (BFI). *Bollettino di Psicologia Applicata, 266*, 37-46.
